

# საქართველო მთავრობის

სარატები და გაზიარებები

გაზეობის № 295

დამატების № 53

გვირა, 31 მაისი 1915 წ.



+ ფლიგელ ადიუტანტი, ლეიიბ გვარდიის კავალერიულის პოლ-  
კის პორტფელი თავადი კონსტანტინე ბაგრათიშვილ-მუხრან-ბათონი.

## სიგნაცია ულო

აი, კიდევ გაზაფხულმა ჩამორეკა გრძნობის ზარი,  
აი, კიდევ აშრიალდა ჩემს სარქმელთან ნიავ-ქარი  
და რითმებად ჩამჩურჩულა განთიადის დანაბარი,—  
გეძახისო საალერსოდ თვალუულნა ყვავილნარი,  
მზე გიშვევსო, მზე გიშვევსო—ვარდზე კოცნად შემომღნარი,  
ხელოვნების ლურჯ ბალშიო მუხა გიცდის ფრთა ნარნარი...

და აი, მეც, დამშრალ გულში ცეცხლის აზრი ამეშალა,  
გაზაფხულის გრძნობის ალი ძველებურად არ მეალა—  
ვეღარ, ვეღარ შევებანე მდელოს ღილინს, ყვავილო სურნელს  
ფიქრი ვეღარ დავახშიე მწუხარებას განუკურნელს!..

..... ჩემში ადრე გაიშალა მზის გრძნობა და ვარდის დილა,  
ადრე მომცა მან სურნელი და აღრევე დაიჩრდილა,  
ყველა გაპჭრა! დამრჩა მხოლოდ მოგონება—გულის ჭირად,—  
ცრემლიც კი არ გამაჩნია ჩემს შეცდომის დასატირად!..

\*\*\*\*

ვინ უშეს რაც კი მიმაჩნია მე თილისმად ცდუნებისა,  
იქნებ იგი ბრმა სახეა ცვალებადის ბუნებისა,

იქნებ იგი სიცელქეა უაზრო და საერთშეოთო,  
ხოლო სევდა, ჩემი სევდა უმიზნო და უსაბუთო,—  
იქნებ სიზმარს, წუთის სიზმარს—განაგებდეს თვით წუთივე?—  
ეჭ, რამდენი ბნელი ღამე ამ კითხვის წინ გავათივე!—

ან იქნება, ერის კვნესა იქცა ჩემის სულის ჭირად  
და მის ფაქრთა გაზაფხულის—მე დამნიშნა ბედმა შზირად?—  
თუ ასეა, სამსხვერპლის წინ გულს ავანთებ ისევ აგრე—  
და დაწევავ შივ რაც ფაქიზი განძეული მოვინაგრე!..

და თუ ამ გზას ჩამომწყვიტა მე პირადმა სიმწუხარემ—  
მაშინ გატყდეს ჩანგი ჩემი და მგოსნობაც მოკვდეს ბარემ!..


ს. ფაშალიშვილი.



## ო ს მ ა ლ ე თ ი ს ლ ა ზ ი ს ტ ა ნ ი



ქალაქი ათინა.



ქალაქი ართავე ლაზურად არქაბი.

### პრეზის ველი

ისეა სავსე წინაპარით ძვლებით  
აი ეს ველი ჩემ წინ მდებარე,  
ვით ჩემი გული ფიქრ-კაეშნებით,  
ვით მწუხარებით თვითონ ეს მხარე.  
ყოველი ღერა აქ ბალახისა,  
ყოველი მტვერი ამ არე-მარის  
გამომთქმელია მუნჯად იმისა,  
რომ ეს ქართველთა აქლდამა აოის...  
ვინ იცის, აი, ამა ადგილზე  
მე რომა ვდგევარ ცრემლის მფრქვევილი,  
ვინ ჩამოიხსნა სიცოცხლის ღილზე  
მსხვერპლად თავისა თვით დამდებელი;  
ვისი ისმოდა თავანწირულად  
ხმა შურისგების რისხის გამფენი:  
ძანო, ჩვენს მტერსა შევაკვდეთ სრულად,  
ან დაგიხსნათ მამული ჩვენი!..

ო, გმირნო! გმირნო! თქვენი მამული  
ის ალარ არის, რაც იყო ძველად!  
თქვენი უმანქო სისხლით მორწყული  
ჰყვავის სხვის ლხენად, სხვის საშვებელად.  
მხარე, რომელიც თქვენ ზღვაოდენა  
მტერს არ დაუთმეთ ცოცხალის თავით.  
სხვას გაუბოძეთ შემდგომად ჩვენა  
და გვწამს, რაიცა თქვენ უარპყავით.  
სადღაა ეხლა ის სიღიადე,  
თქვენ რომ გშეენდათ, ვით სამკაული?  
მხოლოდ დაგვრჩა მწარი სიცხადე  
თქვენი ძვლებიყით გაშიშვლებული.  
ეხლა ჩვენ უნდა წყალობის ხევწნად  
სხვის წინ ვეჩოქოთ უხმოდ, უქუდოთ  
და არა გვერნდეს ადგილი ქვეყნად,  
რომ ცრემლი ჩვენი მუნ დავაყუდოთ...  
ი. მჭედლიშვილი.

### ბ უ რ უ ს ი

პიესა სამ მოქმედებად.

(დასასრული \*)

თეკლე. ჰმ! გთხოვთ! დათას ნულარის ეტყვით!  
კოტე. მაგრამ მე ხომ უმიზებოდ და უსამართლოდ შეურაცმუო.  
კაცმა ამანაგის გაუტანელი და დაუნდობელი მიწოდა. ეხლა ხომ  
ხედავდით, ლაპარაკიც არ მოისურვა. მერე და რისთვის? მე ხომ არა-  
ფერი მიზეზი მიმიცია...

თეკლე. მიზეზი მე მივეცი...

კოტე. თქვენ?

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 52.

### მთის არავი

ძღვნად ვაჟას.

ჭაორა ფრთიანს არწივსა,  
არწივს მთებისას ხნიანსა...  
თავს ნისლი ერტყა ჩაჩნადა...  
მჭმუნვარეს ლაზათიანსა...  
ხან ბარში დანავარდობდა,  
ხან ცას ეკვროდა მზიანსა;  
ხან მყინვარს გადაუვლიდა—  
მუქ ლრუბელ—მანდილიანსა!..  
ხან მთებში—საღმე ნანგრევზე  
დალლილი ჩამოჯდებოდა...  
ფირებს ცრემლებად აღნობდა,  
მწუხარედ აკენესდებოდა...  
მისი შემყურე ბუნება  
იღუმალ ატირდებოდა...  
მთის სალს კლდეებსა ცრემლებად—  
ნაკადი გადმოსკდებოდა!..

ატირდებოდნენ ყვავილნიც  
ხებსაც ცრემლი სცვიოდა...  
ნისლის მწუხარე ქვითინი  
კლდეებში ჩამოდიოდა...  
არწივი დალონებული  
ბედის სიმუხთლეს სჩიოდა,  
ნე ზავი რა ატირებდა,—  
ან გული რაზედ სტკიოდა?!

ეხლაც იქ პეტლობს არწივი,  
ჭალარა გამოპერება...  
ათასი ჭირის მნახველსა,  
გმირთ-გმირს სიბერე სწვევია...  
ირგვლივ მონობა შავ-ბნელი,  
იმის გულს არა სჩვევია...  
სტირის, თუმც ცრემლი არ უჩანს,  
ეტყობა გამოპლევი!..  
ხან-კი ფრთებსა ჰშლის ამაყად,  
თავს დაჲტრენს არე-მარესა...  
და საბლობულებად მოუხმობს—  
—მონად ქმნილს მშობელს მხარესა!..

ილ. მოსაზღილი.

თეკლე. დიახ, მე. გახსოვთ ზღვის პირი?

კოტე. (იგონებს) ზღვის პირი!..

თეკლე. გახსოვთ ოცნება ხომალდზე?..

კოტე. ხომალდზე!..

თეკლე. გახსოვთ, მე ზღვის პირად ვიჯერ, თქვენც იქ გა-  
მოჩნდით და დამიხატეთ წარმტაცი სურათი...

კოტე. (გაოცებული) თეკლე!

თეკლე. რამ გაგაოცათ?

კოტე. თეკლე, ნუ თუ ჩემმა ოცნებამ თქვენზე იმოქმედა?!

თეკლე. ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით, და მაშინვე  
გაჰქირდა, გაჰქირდა სამუდამოდ...

კოტე. მაგრამ იყო კი მაინც ერთი წუთით?



პოდპოროვის ა. ნ. ჩირსელიშვილი  
(დაჭრილია).



პოდპოროვის შალვა იოსელიანი  
(დაჭრილია სამჯერ).



პრაპ. გომორგი ოქროპირიძე  
(დაჭრილია).



პრაპ. გენაგარიშილი  
(დაჭრილია).



ჯ.-კ. შიკუკაშვილი  
(დაჭრილია).

**თეკლე.** ის ერთი შუთიც მე მექუთვნოდა და არა თქვენ. ის ჩემი ინცენია იყო, ჩემი გამოცდის წუთი იყო, ბატონო კოტე. თქვენთან მას არავითარი კავშირი არა ჰქონდა.

**დათა.** (შემოდის) თეკლე, თუ ლაპარაკს მორჩი, დრო არის სადგურზე წავიდეთ.

**თეკლე.** დავით, მე მინდა კოტეს შეგარიგო.

**კოტე.** მით უფრო, რომ მიზეზი უბრალო ყოფილა.

**დათა.** შენ რა იცი?

**თეკლე.** ეხლა ვუთხარი.

**დათა.** იქნებ ძალიან გინდოდა, რომ მიზეზი უფრო ღრმა ყოფილიყო!

**კოტე.** ო, ძალიან, ძალიან სასურველი იქნებოდა.

**დათა.** როგორ, შენ გინდოდა, რომ თეკლეს ოჯახზე ხელი აეღო ვიღაც მაწანწალა ჩინოვნიერისათვის?

**კოტე.** (დათასკენ გაიწევს, მაგრამ უცებ შეჩერდება) ბატონო დავით!

**დათა.** დიახ, დიახ მაწანწალა ჩინოვნიერის გულისათვის, რომელიც მოკლებულია ყოველივე ზნეობრივ სისპეტაკეს...

**თეკლე.** დავით, დავით! რა სოქვი, როგორ შეურაცხჲყე პატიოსანი ადამიანი!

**დათა.** პატიოსანი ადამიანი! ვიცით, რა პატიოსანი ადამიანიც ბრძანდება.

**კოტე.** თუ შეიძლება დამისახელეთ, რა უზნეობა ჩამიღენია. ცოლი არ მყოლია, რომ ვიღაც ბალდ გოგოზე მე იგი გამეცალოს...

**თეკლე.** კოტე, თქვე უსირცხვილო...

**კოტე.** (თეკლეს) ბოდიშს ვიხდი, მაგრამ...

**თეკლე.** რა მაგრამ?

**დათა.** გთხოვთ, ეხლავე მიბრძანდეთ ჩემი სახლიდან! სხვა ღროს მოვნახავ თქვენთან სალაპარაკოდ.

**კოტე.** როდესაც გენებოთ. უკაცრავად ვარ თქვენთანა თეკლე. ბატონი დავითის წინაშე კი არაფერი დანაშაული არ ჩამიღენია. თუ მან უზნეო და მაწანწალა მიწოდა მაშინ, როცა არავითარი საბუთი მისთვის არ მიმიცია, მე უფლება მქონდა აღმენიშნა ის ფაქტი მისი ცხოველიდან, რომელიც მართლა სამარცხვნოდ და უპატიოსნოდ უნდა ჩაეთვალოს. ცხოველია არ მანებიერებს, მაგრამ არავის მივსცემ იმის უფლებას, რომ უმიზეზოდ ჩამწიხლოს და შეურაცხოფა მომაყენოს. მართალია, ჩინოსანი გახლავარ, მაგრამ ჩემში არ ჩამკვდარა წმინდა გრძნობა და თავმოყავრებას არავის შევალახვინებ. უპატიოსნო გარე? აბა თქვეთ, ქალბატონო თეკლე, რა უპატიოსნო ბა ჩამიღენია მე თქვენს წინაშე! შეიძლება ის იყოს უპატიოსნობა,

რომ მიყვარხართ, მიყვარხართ თავდავიწყებამდის და ეს ჩემი გრძნობა არა ფერში გამომიხატავს. თუ ეს უპატიოსნობაა, დიახ უპატიოსნო და უზნეო ვყოფილვარ. უეცრივ ვთქვი ისეთი რამ, რაც, მართალია, არ უნდა მეთქვა, მაგრამ თვით ბატონმა დავითმა გამომიწვია. როგორ, კაცს ისეთი საუჯვე ჰყავდეს, როგორიც თეკლეა და ვიღაც ბალდს...

**დათა.** (ბრაზ-მორეული) მოთმინებიდან ნუ გამომიყვან!

**კოტე.** შეჩერდით, ბატონო! ძალიან ნუ ბრაზდებით. მე კარგაბანია ბოლმა მაწევს გულზე და აპა თქვენის მეოხებით კიდევაც ამოხეთქა. რისთვის ბრაზობთ, რისთვის ლელავთ, განა თქვენთვის სულ ერთი არ უნდა იყოს, ვის ეკუთვნება ამას შემდეგ თეკლე? თქვენის მხრით ხომ იგი მყვარია, ვიღაც უსუსურ ბავშვზე გაცვლილი, მაში რაღა გნებავთ? გინდათ გამისწორდეთ? ინებეთ. გასწორებას მე არ ვუფრითხო. ხოლო ამიხსენით, რამ გამოიწვია თქვენში ასეთი გმირობის გამოჩენის სურვილი! ოპა, მე დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, რომ არავითარი ლონე არ ვიხმარე თეკლეს გულის მოსაგებად. მართალია, მას თქვენ უყვარხართ, რ კარგად ვიცი მისი სიყვარულის სისპეტაკე და ძლიერება, მაგრამ ქალს მარტო თავისი გრძნობა ვერ დააკავიყოფილებს, მისთვის აუცილებლად საჭიროა თანაგრძნობა. თქვენ კი ეს თანაგრძნობა მას ვერ გაუწიეთ და ამით კიდევაც დაპარგეთ მასში საუკეთესო მეგობარი. აპა, რაც მინდოდა მეთქვა. ეხლა კი, ბატონო დავით, შეგიძლიანთ გამისწორდეთ როდესაც გენებოთ და საღაც გენებოთ. (გადის).

(სიჩუმეა).

**თეკლე.** (მიღის დათასთან) დავით, ძალიან აგაღელვა კოტეს სიტყვებმა?

**დათა.** შენ როგორ ფიქრობ? იქნებ შენცა გაქვს რამე სათქმელი. სოქვი.

**თეკლე.** სათქმელი რაღა მაქვს, დავით, ყველაფერი ნათქვამია და გამორკვეული. ოლონდ გთხავ, ნუ გავამწვავებო ისედაც გამოვავებ კითხვას. დაულოცოდ ერთმანეთს გზა და მშვიდობიანად გავილდეთ. ხომ დარწმუნდი აუჯახურ ცხოველების სიყალბეში, ნულარ განვაგრძნობთ ამ სიყალბეს. განვმორდეთ, რაც შეიძლება, აღრე.

**დათა.** დიახ, უნდა განვმორდეთ, თეკლე. ეხლა განსაკუთრებით ვიგრძენი ჩემი ველურობა. წადი, საღაც გინდოდეს, თეკლე, წადი! ღოლნდ...

**თეკლე.** (მიუხვდება) არა, არ იფიქრო. კოტესთან მე საერთო არაფერი მაქვს. მე წავალ მარტო, სულ მარტო. და თუ შენთვის საწყენი არ იქნება, დავით, ეხლავე მოვემზადები, რომ სალამოს კიდევაც გავემგზავრო.

**დათა.** როდესაც გენებოს სრული შენი ნებაა წასვლა თუ დარჩენა.

**ბაბო.** (შემოდის. წასასვლელად მომზადებულია) თეკლე, ხომ გაგვაცილებ?

**თეკლე.** რასაც გირველია. უკვე მოემზადეთ? ეხლავე (გადის).

**ბაბო.** მშვიდობით, დავით. სიტყვით ვერ გამოვთქვამ იმ მადლიაბას, რომელსაც ვგრძნობ თქვენ და თეკლესადმი. არ ვიცი, რით უნდა მოვახერხო სამაგიეროს გადახდა.

**დათა.** (ხელს გაუწევდის. ბაბოც ხელს მისცემს). სამაგიეროს იმით გადავგიხდი, თუ შენ ბეჯითობას გამოიჩენ და გამოჩენილი მუსიკოსი გახდები. მშვიდობით! (ხელზე ჰქოცნის. ლრმად ჩახედავს თვალებში და ამოიხერებს).

**ნესტორ.** (კარებს შემოაღებს, დაინახავს და მაშინვე გაბრუნდება).

**დათა.** შენ ეხლა ცველაფერი იცი, ბაბო.

**ბაბო.** რა, დათა?

**დათა.** ჰო, კარგი ნუ ცბიერობ. ხომ იცი, რა ალი დატრიალ და ჩემს გულში?

**ბაბო.** ჩემდა საუბედუროდ ვიცი, დავით.

**დათა.** მაინც და მაინც ნუ გაიკვირვებ. როცა უფრო ხნოვანი იქნები, მაშინ მიხედები, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენა არის.

**ბაბო.** თქვენ მე ჩვეულებრივი კაცი არ მეგონეთ.

**დათა.** ოპი! მაშ გაგიქარწყლე ჩემშე წარმოდგენა არა? რა უყოთ, ცველაფერი მოსალოდნელია. მაშ აგრე, ჩემო პატარა ქალო. კუთხეში მიდგება. ეტყობა არ სურს ბაბოსთან ლაპარაკი. სიჩუმეა, შემოვლენ: პლატონ, ნესტორ და გაბო).

**პლატონ.** მადლობელი ვარ პატივისცემისათვის, შვილო, შენმა კაცობამ იცის თუ თხოვნას შემისრულებ და მეულლით მშობლებს ესტუმრები.

**თეკლე.** (შემოდის თავდახურული).

**პლატონ.** იმდინა, ჩემო რძოლო, თხოვნას მიიღებ და ალდო-მას ჩვენსას გაატარებ.

**თეკლე.** გმადლობთ, გმადლობთ, მამა. უეჭველად ჩამოვალთ.

**დათა.** ცველანი მოემზადეთ?

**ნესტორ.** ეტლიც გვიცდის. ბარგი უკვე გატანილია.

**დათა.** (ნესტორს) შენც ხომ მოემზადე?

**ნესტორ.** მეც მოვემზადე.

**პლატონ.** როგორ?

**დათა.** ნესტორიც თქვენთან მოდის. ეს მე მოვისურვე და ნესტორიც ვალდებული იყო დათანხმებულიყო. მაშ ეხლა გამომშვიდობების დრო, მამა.

**გაბო.** როგორ, განა შენ არ წამოხვალ სადგურზე?

**დათა.** რატომ არ უნდა წამოვიდე?

**გაბო.** უკეთესია მე წინ წავალ და ბილეთებს ვიყიდი.

**დათა.** არა, არა, ერთად წავიდეთ! ხოლო არ ვარგა ასე განშორება. ამდენი ხანი ესტუმებოდით ბაბოს მუსიკით და ნუ თუ უკანასკნელად არ უნდა მოვუსმინოთ!

**თეკლე.** ბაბო, დაუკარი!

**ნესტორ.** ბაბო, დაუკარი!

**ბაბო.** (პიანინოსთან მიდის. ჯდება).

**დათა.** დასხედით, ბატონებო. რისთვის ჩქარობთ? მატარებლის წასვლამდის კიდევ ერთი საათია.

(კველანი დასხედებიან. ბაბო უკრავს).

**დათა.** რა მშვენიერია! რა წყნარი და ნაზი ჰანგია! ვაშა, ვაშა, ბაბო! მაგრამ არა, არ ლირს ასეთს დროს მაგ ჰანგის დაკვრა. გახსოვს, ბაბო, მეორე ჰანგი, აი ის ჰანგი, რომელიც ღრმად სწევდება გულს და ოცნებას ათამაშებს. მე მინდა, ეხლაც უკანასკნელად იყი დაუკრა. (დაუკინებით) დაუკარი, ბაბო!

**ნესტორ.** ბაბო, დაუკარი!

**ბაბო.** მაგრამ...

**დათა.** ჰა, ჰა! რატომ არ გინდა დაუკრა?

**პლატონ.** ბატონებო, არ დამაგვიანოთ. რაღა ეხლა მოიგონეთ ეს მუსიკა!

**გაბო.** დათა, სადგურზე წასვლის დროა. გადავდვათ შემდეგისათვის.

**დათა.** იპო, ძალიან შიშობთ. შემდეგისათვის არ გადაიდვის, რადგან შემდეგი ალარ იქნება. და აი მე მინდა გამოვსცადო ჩემი თავი, მინდა დაგრწმუნდე, შემიძლიან თუ არა უბაბიკოთი აქ დარჩენა.

**პლატონ.** რა ლაპარაკია, შვილო, რა ლაპარაკი!

**თეკლე.** აცალეთ, მამა, სთქვას, რაც სათქმელი აქვს.

**დათა.** ღიას, მე უფლება უნდა მქონდეს გამოვსცადო ჩემი თავი. შემეძლება თუ არა გავჩერდე აქ ამ ყრუ ბინაზე მას შემდეგ როცა ბაბიკოს მუსიკის მოსმენის საშუალება მომესპობა. იქნებ ისეთი სუსტა ვარ, რომ ვერ შევსძლო.

**თეკლე.** დააბოლავე, დააბოლავე, დავით! თუ ისეთი სულმდაბალი ხალი ხარ, რომ მეტის მოთმენა არ შეგიძლიან უკეთესია ყველაფერი სთქვა.

**დათა.** სულმდაბალი! ნუ თუ ადვილია ამ ოთხ კედელში გაჩერება მარტოდ, სულ მარტოდ, იქნებ თქვენ არ იცით, ბატონებო, რომ თეკლე ამ სალამოსვე მიღის, მცილდება მე საუკუნოდ.

**ბაბო.** მიღის!

**პლატონ.** გცილდება?

**გაბო.** როგორ?! როგორ შეიძლება ეს?

**დათა.** რას განციფრდით! თქვენ ალბად არ იცით, რომ თეკლესადმი სიყვარულში ჩემი მეტოქე... კოტე არის...

**ნესტორ.** (ბრაზონრეული შეკვირებს) დავით?

**დათა.** (დაიბრნევა) ოპ! ოპ! (ხელებს თვალებზე მიიღარებს, ჩაჯდება).

**თეკლე.** რა სიმდაბლეა! ნუ თუ არ შეგეძლო შენი მოხუცი მამისათვის არ მოგეწამლა უკანასკნელი წამები. ნუ თუ სქესობრივ ვნებას ამ ბავშვისადმი იმდენად შეუპრისარ, რომ დაგვარგვია ცველაფერი პატიოსნება, სინიდისი და ვაჟ-კაცობაც. ბაბო მიღის, გცილდება და შენ ალარ იცი რა ჰენა, რა მოიმოქმედო. უჱ, სულმდაბალო, მხეცის მოდგმაც, რად შევიყრეთ ჩენ ართად! თუ ასეთია ცველა მამაკაცი, განა ლირს სიყვარულზე ლაპარაკი, ლირს მისოვის ტაჯვა, მისოვის ცხოვრება?! მე მოვიკრიფე ძალ-ძონე და განვიძრახე ლამაზად დამებოლავებინა ის ომი, რომელიც დიდი ხანია ჩამოვარდნილა ჩენს შორის, მაგრამ შენ ვერ შესძელი და მოხუცი მამაც კი გახადე ჩენი ტაჯვაის მოწამედ. რადგან ასეა, დე, იცოდნენ, რომ მე გტოვებ შენ, როგორც მდაბალს და მხოლოდ სქესობრივ ვნებით შებოჭვილ მამაკაცს. სად წავალ, როგორ ვიცხოვრებ, ეს არც მე ვიცი, მაგრამ გარწმუნებ დღეის შემდეგ ჩემს ცხოვრებას უფრო მეტი მზანი ექნება, ვიღრე იქნამდის. უჯვალესია, ამოვიგლიჯო გული, ვიღრე ერთი წუთი დავჭკარგო შენზე ფიქრში. ეს! დავით, დავით? რამდენი დროა დაკარგული უმიზნოდ უშინაარსოდ! მაგრამ მშვიდობით იყავი! (სწრაფად გადის).

**პლატონ.** რას გავს ეს, რას გავს ეს? (დაედევნება თეკლეს. მასთან გადიან ნესტორ და გაბო).

**დათა.** რას მისდევენ? განა არ იციან, რომ თეკლეს დაკავება შეუძლებელია? ის წავიდა! მოგვშორდა სამუდამოდ! (მიაჩერდება ბაბოს) მშვიდობით, ბაბო!

**ბაბო.** (შემერთალი, შეშინებული) დავით! დავით!

**დათა.** ჰაპაჰაპა! (გარბის მარჯვენივ კარებზი).

**ნესტორ.** (შემოდის).

**ბაბო.** ნესტორ, მიღი დათასთან! ის ჩაიდენს რასმე... (მოისმის სროლი).

**დათა.** (შემობარბაცდება. ნესტორ მიიჩნენს და ხელებს შეაველებს. დათა ნესტორის ხელებზე მიესვენება).

**დათა.** ვკედები! აპ! აპ! (ნესტორ დივანზე მიასვენებს).

**ნესტორ.** დავით! დმაო! დათიკო!

**დათა.** (სული ეხუთვისი) ბაბო!... თეკლე!

**ბაბო.** (შიშისაგან ცახცახების, ხან კარებთან მივარდება, ხან დათასთან საშინალად ღრიალებს).

**პლატონ.** (შემოიტრება) რა ამბავია! რა ამბავია! (დაინახავს დაცუხალმკედარი დათას წინაშე დაიკეცავს). შვილო, შვილო! (დათა კვდება).

(შემორბიან თეკლე და გაბო).

**გაბო.** (დათასთან მიიჩნენს, მუხლებზე დაეცემა და ქვითინი იწყებს).

**თეკლე.** (გამოირკვევა, ერთს შეპკივლებს, მიიჩნენს დათასთან და მის წინ მუხლებზე დაეცემა). ნუ თუ ასე უნდა განვშორებული ყავით, დავით! (გულშემზარავად ტირის).

ფ ა რ დ ა.

სიო ჭანტურიშვილი.

